სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№5 (313) მაისი, 2018 წელი

100 წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობიდან

გილოცავთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს!

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წელი გავიდა. ჩვენმა სამშობლომ ურთულესი 100 წლიანადი განვლო. ჩვენმა წინაპრებმა და შემდეგ ჩვენ გადავიტანეთ არაერთი განსაცდელი, არაერთი ბრძოლა... დღესაც სახელმწიფოს შენების გზაზე ვდგავართ და მჯერა, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ის მთავარი ღირებულებები, რომელზე დაყრდნობითაც საქართველო ძლიერი, დემოკრატიული და სამართლიანი ქვეყანა უნდა იყოს!

მიხარია და ამაყი ვარ, რომ, როგორც მაშინ, დღესაც, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლის შემდეგ, შესაძლებელია ამ სიტყვებით მივმართოთ ჩვენს თანამემამულეებს: „თავისუფალი საქართველოს თავისუფალნო შვილნო!..“

ეს დიდი გამარჯვებაა და ამ მონაპოვარს ყველა ჩვენგანი მოუფრთხილდება და დააფასებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯის დელეგაციის ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

2018 წლის 23 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ევროკავშირის მობილობის პროექტ ერაზმუს+ 107 ფარგლებში ეწვია ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯის დელეგაცია დირექტორ ასტრა ბუკულიტეს და ამავე კოლეჯის დირექტორის მოადგილის (მეცნიერების დარგში), დაინა ვოიტას, შემადგენლობით.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ერაზმუს+ 107 პროგრამის ფარგლებში, პირველად ჩვენი უნივერსიტეტების ისტორიაში, განხორციელდა საექთნო პროგრამის ქართველ და რიგელ სტუდენტთა მობილობები.

ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა თსსუ-ის ვიცე-რექტორთან, პროფესორ რიმა ბერიაშვილთნ. შეხვედრას ესწრებოდნენ: ერაზმუს+ 107 პროგრამის კოორდინატორი ნინო კანდელაკი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კილასონია, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია, საექთნო პროგრამების კოორდინატორი მედეა ჯღარკავა და თსსუ-ის და რიგის სამედიცინო კოლეჯის საექთნო პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც ერაზმუს+ 107 მობილობის პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა.

კონფერენცია - DÜRR Dental-ის აკადემიის მოწინავე ტექნოლოგიები და უახლესი კონცეფციები პაროდონტიტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში

12-13 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „DÜRR Dental-ის აკადემიის მოწინავე ტექნოლოგიები და უახლესი კონცეფციები პაროდონტიტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში“. კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გერმანული კომპანია DÜRR Dental-ი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაცია, ქართულ-გერმანული იმპლანტაციის ცენტრი HBI-dentImplant და კომპანია Dentstal.

12 მაისს კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა მედიცინის დოქტორი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე.

დიდი დაინტერესება გამოიწვია ანდრეი რენზის, მანანა ივერიელის, ნინო აბაშიძის, ელენა სტარიკოვას მოხსენებებმა, რომელიც პირის ღრუს დაავადებების პრევენციის და მკურნალობის აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია აკრედიტებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ და მინიჭებული ჰქონდა უპგ 5 ქულა. მას ესწრებოდნენ თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ექიმი-სტომატოლოგები, რეზიდენტები და თსსუ-ის სტუდენტები.

ვასკულური ნეიროქირურგიის საერთაშორისო კონგრესი

2018 წლის 17 მაისს გაიხსნა სამდღიანი საერთაშორისო კონგრესი ვასკულური ნეიროქირურგიის შესახებ. კონგრესის ერთ-ერთი სპონსორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია.

კონგრესის ოფიციალურ გახსნას შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ზაზა ბოხუა, თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე დაესწრნენ.

კონგრესის საპატიო პრეზიდენტი ბურდენკოს ნეიროქირურგიის სამედიცინო კვლევითი ცენტრის პროფესორი, აკადემიკოსი ალექსანდრე კონოვალოვი გახლდათ.

კონფერენცია ოთხ პლენარულ სესიას მოიცავდა, რომლის ფარგლებშიც ლექციები და მასტერკლასები უცხოელმა და ქართველმა სპეციალისტებმა ჩაატარეს.

შეხვედრა დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლებთან

15 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა თსსუ-ის ადმინისტრაციის შეხვედრა დამსაქმებელი კომპანიების ხელმძღვანელებთან და კურდამთავრებულებთან. თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მადლობა გადაუხადა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის და გამოხატა მზადყოფნა აქტიური თანამშრომლობისთვის. უნივერსიტეტის კანცლერმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ, სტუმრებს წარუდგინა განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები. ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ, წარადგინა პრეზენტაცია — ,,თსსუ-ის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი“. უნივერსიტეტსა და დამსაქმებელ კომპანიებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შესახებ ისაუბრა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, გიგა სორდიამ.

შეხვედრის მეორე ინტერაქტიულ ნაწილში განიხილეს შემდეგი საკითხები: სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობები; დამსაქმებელი კომპანიების ჩართულობა სხვადასხვა ფაკულტეტის კურიკულუმების კომიტეტებში; ერთობლივი სამეცნიერო და სოციალური ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობები.

მოწვეული სტუმრების მხრიდან აქტიურად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა ინიციატივა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამ ინიციატივების განხილვასა და მათზე მუშაობას გეგმავს. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ 70-მდე სამედიცინო კლინიკის, ფარმაცევტული და სადაზღვეო კომპანიის, სარეაბილიტაციო ცენტრისა და სხვადასხვა პარტნიორი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლები.

კომპანია Trenkwalder Group-ის წარმომადგენლები თსსუ-ში

მიმდინარე წლის 3 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ კომპანია „ Trenkwalder Group “-ის (ავსტრია) წარმომადგენლები: მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი ოქთაი ერციაზი და აღმასრულებელი საბჭოს ასისტენტი ფილიპ რეპარი. მათ ახლდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ნატო ჩაკვეტაძე.

სტუმრებს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კილასონია და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიგა სორდია.

კომპანია „Trenkwalder Group“-ის წარმომადგენლებმა მოისმინეს ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში ორმხრივად საინტერესო და სასარგებლო პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას. მათ აღნიშნეს, რომ კომპანია „Trenkwalder Group“ უკვე 30 წელია წარმატებით აკავშირებს კომპანიებსა და ადამიანებს ერთმანეთთან და დიდი სურვილი აქვთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის განახორციელონ დასაქმების პროგრამები.

თანამშრომლობის ხელშეკრულება ბელორუსიის ტრანსპლანტაციის ცენტრთან

2018 წლის 21 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიორგი ინგოროყვამ და თსსუ-ის ქირურგიის N 2 დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გია თომაძემ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას ბელორუსიის ტრანსპლანტაციის ცენტრთან.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არიან: ბელორუსიის წარმომადგენელი პროფესორი ოლეგ რუმო, საქართველოდან მაღალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი და საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია.

ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში

2018 წლის 15-24 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე, ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია ნიჟარაძე და თსსუ-ის ERASMUS+-ის ინსტიტუციური კოორდინატორი ნინო კანდელაკი ERASMUS+-ის მიერ დაფინანსებული მობილობის პროგრამის ფარგლებში, იმყოფებოდნენ ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტში (პოლონეთი). ვიზიტი ზედმიწევნით ნაყოფიერი გამოდგა, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ამ პერიოდში უნივერსიტეტში ორი სერიოზული ღონისძიება ჩატარდა: სამედიცინო განათლების მე-20 კონფერენცია და თერაპიული და ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტების მიერ ორგანიზებული მე-11 სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ესთეტიკურ სტომატოლოგიას მიეძღვნა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია მიიღო ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ანჟეი დროპმა. მან საუბარში აღნიშნა, რომ ისინი გააგრძელებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის იმ საუკეთესო ტრადიციებს, რასაც წლების წინ ჩაეყარა საფუძველი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი ვიზიტი ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ბარბარა ტიმჩინა ბოროვიჩთან. ქართული დელეგაციის წევრები ვიზიტის ფარგლებში, ერთი კვირის განმავლობაში, სტომატოლოგიის ფაკულტეტის თითქმის ყველა დეპარტამენტს ესტუმრნენ, დაესწრნენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, ესაუბრნენ პროფესორებს და ტუტორებს, იმსჯელეს სასწავლო კურიკულუმის შესახებ და ისაუბრეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დიდ მნიშვნელობაზე სტუდენტთა ცოდნის შეფასების თვალსაზრისით.

მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს ლუბლინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრაქტიკული უნარების ცენტრი და სიხარულით აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ის ახალი მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე აპარატურით აღიჭურვება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კონფერენციებში. პოლონეთის სტომატოლოგთა მე-11 სამეცნიერო კონფერენციაზე პროფესორმა მარინა მამალაძემ წარადგინა კვლევის ფრაგმენტი – ,,სხვადასხვა ტიპის ირიგანტების გავლენა არხის კედლების Smear Layer-ის მოცილებაზე”.

სამეცნიერო კონფერენციას ესწრებოდა პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტის (პოლონეთი) თერაპიული სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ანა სურდაცკა, რომელიც ლუბლინის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად დაესწრო სემინარს OSCE-ის თაობაზე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, რათა გამოცდის ეს მეთოდი დაინერგოს პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტშიც.

ვიზიტის განმავლობაში, დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იზაბელა ვიტკოვსკა, რომელმაც სტუმრებს დაათვალიერებინა ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის კემპუსი და შეახვედრა ERASMUS+-ის საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტში ამჟამად მყოფ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეხვედრა პარტნიორი კლინიკების ხელმძღვანელებთან

15 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა თსსუ-ის ადმინისტრაციის შეხვედრა პარტნიორი კლინიკების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია, ასევე თსსუ-სა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლებისა და ბაზრის კვლევის მონაცემები, აგრეთვე სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო არსებული ვითარება სამედიცინო ბაზარზე, ახალი მიდგომები სტუდენტთა მოსამზადებლად და გამოწვევები თანამედროვე მედიცინაში. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკების, ფარმაცევტული კომპანიების, სარეაბილიტაციო ცენტრების და სხვადასხვა პარტნიორი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლები.

პროფესორ ლოთარ იეგერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

30 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესორ ლოთარ იეგერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა, აღნიშნა, რომ პროფესორი ლოთარ იეგერი ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დარგში აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული მეცნიერი, პედაგოგი და ექიმია. მისი ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან (მაშინ სამედიცინო ინსტიტუტთან) ჯერ კიდევ 1979 წელს დაიწყო, როდესაც სოხუმში ჩატარდა თსსუ-ის ალერგოლოგიის კათედრისა (დღეს ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი) და საკავშირო ალერგოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული მე-3 საერთაშორისო კონფერენცია. მას მერე მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით არაერთ სასიკეთო საქმეში შეიტანა თავისი წვლილი. თსსუ-ის გერმანულენოვან სამედიცინო სამყაროსთან ინტეგრაციაში დიდია პროფესორ ლოთარ იეგერის დამსახურება.

1983 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტსა (დღეს უნივერსიტეტი) და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის (გერმანია) კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტს შორის გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც წლების მანძილზე ხორციელდებოდა: თანამშრომელთა გრძელვადიანი სტაჟირებები გერმანიასა და საქართველოში; ერთობლივი კვლევები; ალერგოლოგიასა და კლინიკურ იმუნოლოგიაში ქართულ-გერმანული კონფერენციების ორგანიზება. ეს ურთიერთობები გაფართოვდა, რაშიც აღსანიშნავია, პროფესორ მანანა ქუთელიას წვლილი.

პროფესორმა ლოთარ იეგერმა მადლიერებით მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღიარება და მზადყოფნა გამოხატა მომავალი თანამშრომლობისთვის. მან ასევე დიდი პატივისცემით გაიხსენა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთობლივად განხორციელებული უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტები და აღნიშნა, რომ საქართველო მისთვის განსაკუთრებული ქვეყანაა.

ვიზიტით თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: ჩინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ჯი იანჩი და ატაშეები: ქალბატონი დიუ იკუნი და ბატონი სუნ ვონ ბინი. სტუმრებს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კილასონია.

ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ დაათვალიერა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციების ცენტრი და პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დარჩა: „საერთოდ, სამედიცინო სფერო საქართველოში ნამდვილად დიდი ინტერესის საგანია ჩემთვის, რადგან ვიცნობ ქართველ ექიმებს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ უცხოეთში“, - აღნიშნა მან. ასევე, მან ისაუბრა სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებასა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე.

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

მიმდინარე წლის 16 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შეხვდა სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს. შეხვედრა გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღსანიშნავი პროექტის — „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ“ ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტს და აუდიტორიას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია: დღეს თქვენ ხვდებით საქართველოს ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილს, არ მომერიდება ამისი გამეორება, რადგან ისეთი მაღალი ბარიერი მისაღებ გამოცდებზე არავის აქვს საქართველოში, როგორიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (წელს ეს ბარიერი კიდევ უფრო მაღალი იქნება - 70%, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისთვის კი, ინგლისურ ენაში - 80%). ამ ახალგაზრდებმა გადალახეს ეს მაღალი ბარიერი და ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენეს მთელ საქართველოში.

დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 65 ქვეყნის ახალგაზრდებისთვის არის მიმზიდველი; ჩვენი სტუდენტებიდან ყოველი მესამე უცხოელია.

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებს მიმართა:

„მადლობა თქვენ ამ არჩევანისთვის, რომ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში გადადგით მძიმე და სერიოზული ნაბიჯი - გადაწყვიტეთ აგერჩიათ ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და ძნელი პროფესია - ექიმობა. ეს არ არის მარტო პროფესიის არჩევანი, ეს ცხოვრების სტილის არჩევაა. დიდი მისია გეკისრებათ და უამრავ სირთულესთან მოგიხდებათ გამკლავება.

მადლობა თქვენ ამ პროფესიის არჩევისთვის. ჩვენი, ჩვენი შვილების მომავალი და ჯანმრთელობა თქვენს ხელშია.

მადლობა ბატონ რექტორს მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დეტალებს შევეხე, როცა ჯერ კიდევ განათლების მინისტრი ვიყავი. დავინახე რა მასშტაბის და მოცემულობის სამუშაოა ჩატარებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, როგორ ვითარდებით და რა როლს თამაშობთ ქვეყნის განვითარებაში“...

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მიმოიხილა შეხვედრის მიზანი: 26 მაისის დღესასწაულის - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრა და აღნიშვნა. ისაუბრა პროექტის არსზე და განმარტა რა იგულისხმება პროექტის სახელწოდებაში — „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ“. გაიხსენა ასი წლის წინანდელი მოვლენები და შეაფასა, რომ ეს გადაწყვეტილება იყო პროგრესის და გადარჩენის ორიენტირი. აღნიშნა რა დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შეიქმნა მაღალი სტანდარტის დემოკრატიული კონსტიტუცია.

სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ პრეზიდენტთან დიალოგში, დაისვა კითხვები საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სამომავლო პერსპექტივებზე.

როდესაც აუდიტორიაში მსმენელმა შეკითხვა განათლების სისტემასთან დაკავშირებით დასვა, პასუხი პრეზიდენტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითის მოშველიებით გასცა: როგორც აღვნიშნე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დგას სწორ გზაზე, ვითარდება სწორად. სხვა რა არის საჭირო? „უნდა ჩაასხა მეტი საწვავი“, რომ შეუფერხებლად იაროს ამ გზაზე: მეტი ფული განათლების სისტემაში! “

პრეზიდენტმა შეხვედრა დაასრულა სიტყვებით: თქვენ ხართ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები - ქვეყნისა, რომელსაც გააჩნია თავისუფლების დიდი ისტორია. ასე რომ, თქვენზე უკეთ თქვენს ქვეყანას ვერავინ წარმოაჩენს.

რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი უდიდესი დღესასწაულია ნებისმიერი ჩვენგანისთვის, რადგან იმ მარადიულ ღირებულებას ეყრდნობა, რასაც ეროვნული იდენტიფიცირება და თავისუფლების წყურვილი ერთობლივად ქმნის.

კურსდამთავრებულთა საზეიმო ღონისძიებაზე

მიმდინარე წლის 18 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა კურსდამთავრებულთა საზეიმო ღონისძიება. 247 უცხოელი კურსდამთავრებული ამაღლებული განწყობით შეიკრიბა თეატრალურ დარბაზში. ღონისძიებაზე დასასწრებად საქართველოში ჩამოვიდნენ მათი ოჯახის წევრებიც.

უკვე ყოფილ სტუდენტებს ეს ღირსშესანიშნავი დღე მიულოცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან დიდი წარმატება უსურვა თითოეულ კურსდამთავრებულს და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მათი უნივერსიტეტია და მუდმივად უგულშემატკივრებს მათ წინსვლასა და პროფესიულ სრულყოფას.

გულითადად მიულოცა უნივერსიტეტის დამთავრება დარბაზში შეკრებილებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ.

კურსდამთავრებულებს მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა დავით თოფურიამ: „მჯერა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომი თქვენი წარმატების საძირკველი გახდება და თქვენ იქნებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ელჩები საქართველოს ფარგლებს გარეთ“, — თქვა ბატონმა დავითმა.

სწავლის წარმატებით დასრულება მიულოცა აუდიტორიას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა: „მადლობა ყველას იმ დიდი შრომისთვის, რაც გასწიეთ დღემდე; დღევანდელ დღეს ნუ დაიმახსოვრებთ, როგორც სწავლის დასრულების დღეს, ეს არის ახალი ცხოვრების დასაწყისი. თქვენ აგრძელებთ სწავლას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აქ ჩაყრილი საძირკველი კი, იმედი მაქვს, მყარი და საიმედო იქნება თითოეული თქვენგანისთვის“...

კურსდამთავრებულებმა დიდი პატივისცემა და მადლიერება გამოხატეს პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. აუდიტორიას სიტყვით მიმართეს მაღალრეიტინგულმა კურსდამთავრებულებმა: ლუტფი ფაზილმა, ტენიჯა რაჩელმა და შალიკა განსეშან ნავინიმ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ უნივერსიტეტის დამთავრების დამადასტურებელი სიგელები.

ღონისძიების დასასრულს კურსდამთავრებულებმა საზეიმოდ წარმოთქვეს ჰიპოკრატეს ფიცი.

თამბაქოს გარეშე

თამბაქოს მოხმარება და მისგან გამოწვეული ზიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მსოფლიოში. საქართველოში 2018 წლის 1 მაისიდან თამბაქოს მოწევა აკრძალულია: ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სამედიცინო თუ ფარმაცევტულ დაწესებულებებში. ფიზიკური პირი ვალდებულია შეასრულოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულება დაჯარიმდება 500 ლარით, განმეორების შემთხვევაში - 1000 ლარით.

ამ სიახლესთან დაკავშირებით გავესაუბრეთ თსსუ-ის ერთ-ერთ სტუდენტს:

— რა აზრის ხართ, თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებით?

— ჩემთვის ნამდვილად მისაღებია ეს კანონი, რადგან მწეველი, ვნებს საკუთარ თავსაც და გარშემომყოფების ჯანმრთელობასაც საფრთხეს უქმნის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბოლოდროინდელი სტატისტიკა.

— თქვენ თუ გიწევდათ და რამდენად ხშირად, ყოფილიყავით პასიური მწეველი?

— ამ კანონის წყალობით ახლა ნაკლებად ვარ, მაგრამ რამდენიმე თვის წინ სასტუმროში ვისვენებდი, სადაც ძალიან ბევრი სტუმარი ეწეოდა და მეც, ფაქტობრივად, პასიური მწეველი ვხდებოდი, სამწუხაროდ, ვერც ვერაფერს ვიტყოდი, რადგან მაშინ ამის წინააღმდეგ კანონი არ არსებობდა.

— თქვენი აზრით, კანონმა მოკლე დროში რა შედეგი გვიჩვენა?

— უნივერსიტეტის ეზოში ბევრ მწეველს შენიშნავდით, ახლა უკვე აღარავინ ეწევა, არ ყრია სიგარეტის ნამწვავები და ჩვენც აღარ ვართ პასიური მწეველების როლში.

— თქვენი აზრით, უცხოელი სტუდენტები როგორ შეხვდნენ ამ კანონს?

— სიმართლე გითხრათ, უცხოელი სტუდენტი უნივერსიტეტში სიგარეტით ხელში არასდროს მინახავს.

— დიდი მადლობა, რომ დრო გამონახეთ და შეკითხვებზე მიპასუხეთ.

— მადლობა თქვენ, რომ მომეცით აზრის გამოხატვის საშუალება.

ანა ლაცაბიძე,
ფარმაციის ფაკულტეტის
მეორე სემესტრის სტუდენტი

„ომობანა“ სტუდენტის თვალით



აგვისტოს ომის 10 წლისთავს მიუძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურმა დასმა, „ჰიგიამ“, სპექტაკლი — „ომობანა“, რომლის პრემიერა 25 აპრილს შედგა, განმეორებითი ჩვენება კი 10 მაისს გაიმართა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თსსუ-ის სტუდენტები, რეჟისორი გახლდათ ნათია გუჯაბიძე. პიესა დაფუძნებულია რეალურ ფაქტებზე და გამოყენებული იყო ბასა ჯანიკაშვილის პიესა „ომობანა.“ სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. რეჟისორი სპექტაკლის ჩვენებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეგმავს. მონაწილეებისთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო სპექტაკლში თამაში, თითოეულ როლზე მუშაობა — ისინი ხომ საქართველოსთვის თავგანწირულ მეომრებს ანსახიერებდნენ, ომში დაღუპულ გმირებს, რომლებიც სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად; სტუდენტების თქმით, მათ კიდევ ერთხელ დაგმეს ომი – „არა ოკუპაციას“.

გავესაუბრეთ სპექტაკლში მონაწილე სტუდენტს, ანრი ტყაბლაძეს, რომელიც ომში დაღუპული ერთ-ერთი ჯარისკაცის როლს ასრულებდა. საინტერესო იყო მისი ემოციები სპექტაკლის შემდეგ.

ანრი ტყაბლაძე: ეს არის შეგრძნება, როდესაც წუხილსა და სიხარულს ერთდროულად განიცდი: წუხხარ იმ გმირების გამო, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს სამშობლოსთვის და, ამავდროულად, ბედნიერი ხარ, რომ მოგეცა საშუალება, მათი ისტორია გაგეცოცხლებინა და თუნდაც მცირედით გეგრძნო ტკივილი, რაც მათ განიცადეს. ვამაყობ, რომ ამ ყველაფრის მონაწილე ვიყავი, ვამაყობ რომ „ჰიგიელი“ ვარ და ჩემი კოლეგები, პირველ რიგში, ჩემი მეგობრები არიან! მადლობას ვუხდი ჩვენი თეატრის რეჟისორს, ნათია გუჯაბიძეს, ყველას, ვინც გვერდით გვედგა და რჩევა-დარიგებებს გვაძლევდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალური დასი, „ჰიგია“ არსებობის მე-17 წელს ითვლის და მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობს. სასიხარულოა, რომ ახლახან, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის გადაწყვეტილებით, „ჰიგიას“ სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა.



ნანიკო გავაშელი,
ფარმაციის ფაკულტეტის
მეორე სემესტრის სტუდენტი

სპორტული ცხოვრებიდან

კალათბურთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობით (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოლომონ ერგემლიძე) ჩატარდა ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 8 გუნდი. პირველი ადგილი მოიპოვა გუნდმა — „76“, მეორე — „West“ და მესამე — „Medic Bulls“. საუკეთესო მოთამაშედ დათო ტატოშვილი დასახელდა.

ჭადრაკი

11 მაისს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ჩატარდა ტურნირი ჭადრაკში. გამარჯვებულები გახდნენ: ლუკა ნაგერლიშვილი (I ადგილი), ბექა ოსიძე (II ადგილი), დათო თათოშვილი (III ადგილი).

სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია

2018 წლის 20 აპრილს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით, გაიმართა რიგით მეცხრამეტე უნივერსიტეტთაშორისი სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია — Students' Teaching Scientific Talks (STST). მოხსენებები წარმოდგენილი იყო ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.

კონფერენციის მიზანი იყო სტუდენტებს უახლესი სამედიცინო ინფორმაციის მინოდების საშუალება მისცემოდათ ფართო საზოგადოებისთვის, რაც მომავალში ხელს შეუწყობს საერთაშორისო კონფერენციებზე მათ წარმატებით მონაწილეობას და პროფესიულ განვითარებას.

ღონისძიება გახსნა და აუდიტორიას მიმართა თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა. მან ისაუბრა სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობაზე მედიცინაში და სტუდენტებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა აღუთქვა.

წარმოდგენილი იყო 23 მოხსენება: ღონისძიების დასასრულს, მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. კომპეტენტური ჟიურის წევრების შეფასების მიხედვით გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთა ავტორებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი სერტიფიკატებით:

New Insights into the Pathogenesis and Treatment of Linear IgA Disease;

Gestational Trophoblastic Disease

Biochemical and Genetic Aspects of Anxiety Disorders.

გამოვლინდა STST კონფერენციაში მონაწილე ყველაზე აქტიურად ჩართული დეპარტამენტი — სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი.

დასასრულს, კონფერენცია შეაჯამა თსსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტმა გიორგი ათათიამ:

„კონფერენციამ წელს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მეცნიერებით დაინტერესებულ სტუდენტებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ რიგით მეცხრამეტე უნივერსიტეტთაშორისი სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია მაღალ დონეზე ჩატარდა. კონფერენციის მნიშვნელობა წლიდან წლამდე იზრდება, განსაკუთრებით — სტუდენტებისთვის, მათი პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით და ერთგვარი სტიმულია მომავალი სამეცნიერო მუშაობისთვის.

კონფერენციის მიმდინარეობისას წარმოიშვა მრავალი საინტერესო საკითხი, გაიმართა დისკუსია წარდგენილი კვლევების ირგვლივ მომხსენებლებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის.

აქვე, თსსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სახელით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას კონფერენციის მომზადებაში გაწეული თანადგომისა და დახმარებისთვის.“

გიორგი ათათია,
ივანე თარხნიშვილის სახელობის
სტუდენტთა სამეცნიერო
საზოგადოების პრეზიდენტი

„საბედისწერო ცამეტი“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახლახან ჩამოყალიბებულმა კინოკლუბმა „მედისინემამ“ ორი საინტერესო პროექტი წარუდგინა შეკრებილ საზოგადოებას: ორივე ფილმი აფხაზეთის ომის თემაზე. პირველი პროექტი უკვე განხორციელდა — ფილმ „გაღმა ნაპირის“ კინოჩვენება-განხილვა რეჟისორ გიორგი ოვაშვილთან ერთად, რომელმაც მაყურებელის დიდი მოწონება დაიმსახურა, შემდეგი შეხვედრა — 18 მაისს შედგა. წარმოდგენილი იყო ფილმი „საბედისწერო ცამეტი“, თსსუ-ის სტუმრები გახლდნენ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები.

დოკუმენტური ფილმი გვიამბობდა ომში მებრძოლი ექიმების, სტუდენტების ისტორიაზე, რომლებმაც პირნათლად აღასრულეს თავიანთი პროფესიული და ადამიანური ვალი. ვფიქრობთ, აუცილებელია თსსუ-ის სტუდენტებს ახსოვდეთ, აფასებდნენ იმ გამორჩეული ადამიანების ღვაწლს, რომლებიც მძიმე წუთებში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უშიშრად იდგნენ სხვათა სიცოცხლის დასაცავად. ფილმი ემოციური და დასამახსოვრებელი იყო მაყურებლისთვის.

კინოკლუბი მომავალშიც საინტერესო შეხვედრებს გეგმავს, რომელიც კვლავაც თსსუ-ის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდება და მადლობას უხდის ტელეკომპანია „პულსს“ თანამშრომლობისთვის.

ნინო სახანბერიძე,
მედიცინის ფაკულტეტის
მეოთხე სემესტრის სტუდენტი

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტმა, ნინო სახანბერიძემ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორზე, პროფესორ ტომას აიჰჰორნზე, გერმანულ სამედიცინო გაზეთში სტატია გამოქვეყნდა

გერმანია, კარლ–თიმის კლინიკა, კავკასიის პროექტის ინიციატორი პროფესორი ტომას აიჰჰორნი ქართველ ექიმებთან ერთად: ნინო გამეზარდაშვილი, თეონა შალამბერიძე, თინა თვალავაძე, ნინო ჩიხლაძე, მაია გაგუა

ქალაქი კოტბუსი ბრანდერბურგში, პოლონეთის საზღვართან ახლოს, მდებარეობს, ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა ასი ათასს აღემატება. ქალაქის მონახულება თუნდაც მხოლოდ გარეუბან ბრანიტცში მდებარე თავად ფუეკლერის ზღაპრული ბაღების გამო ღირს. აქვეა კოტბუსის ცნობილი კლინიკა, რომელიც ტრავმატოლოგიის ერთ-ერთი თანადამფუძნებლის, კარლ თიმის, სახელს ატარებს. იგი მოიცავს 21 კლინიკას, მთლიანობაში — 1200 საწოლით. ამჟამად კოტბუსის კლინიკას 2500 თანამშრომელი ჰყავს, რომელთა შორის 350 ექიმია, 20 კი სტაჟიორი. ნიშანდობლივია, რომ კლინიკაში მოღვაწე ექიმთა 20%-ს უცხოელები შეადგენენ.

კოტბუსის კარლ-თიმის კლინიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კავკასიის პროექტის ინიციატორის, პროფესორ ტომას აიჰჰორნის სახელი (65), რომელიც აქ მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ოტორინოლარინგოლოგიის მიმართულებას. პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი აქტიურად დაინტერესდა საქართველოსთან თანამშრომლობით. მიზეზად გერმანიასთან ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და პროევროპულობას ასახელებს. გარდა ამისა, პროფესორი აღნიშნავს, რომ ქართველები საოცარი მადლიერებით იღებენ დახმარებას, რაც, თავის მხრივ, პარტნიორობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

პროფესორმა ტომას აიჰჰორნმა გერმანიაში საქველმოქმედო კავშირი — „ჯანმრთელობა კავკასიისთვის“ — დააფუძნა, რომელიც, ძირითადად, კავკასიიდან გერმანიაში სამკურნალოდ ჩასულ მძიმე სენით დაავადებულ ბავშვებს უწევს დახმარებას.

ასოციაცია აერთიანებს ექიმებს, ექთნებს, კლინიკის ხელმძღვანელებს, რომელთა უმრავლესობა სწორედ კოტბუსის კლინიკასთან არის დაკავშირებული.

გასულ წელს პროფესორი ტომას აიჰჰორნი სამჯერ სტუმრობდა კ. მარდალეიშვილის ონკოლოგიურ კლინიკას თბილისში. თავდაპირველად, კოტბუსის კლინიკის ქირურგიული განყოფილების მედდის თანხლებით, მოგვიანებით – პირნელი და ებერსვალდელი კოლეგების გარემოცვაში, ხოლო მესამედ პროფესორი კოტბუსელ კოლეგასთან ერთად ეწვია თბილისს.

საქართველოში პროფესორი ტომას აიჰჰორნი უმეტესად მიკროსკოპულ ოპერაციებს ატარებდა ხორხზე, ცხვირსა და ცხვირის დანამატ ღრუებზე. ქართველ პაციენტებთან ერთად, ქირურგიული მომსახურეობა ჩრდილოეთ ოსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულ პაციენტებსაც ჩაუტარდა. 2017 წელს აღნიშნულ პროგრამაში, საერთო ჯამში, ხუთი გერმანელი ექიმი იღებდა მონაწილეობას, რომლებმაც ხუთი ვიზიტის ფარგლებში რვა კვირა დაჰყვეს კლინიკებში. ერთი კვირის განმავლობაში, საშუალოდ, ათი ოპერაცია ტარდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელმა ექიმებმა გარკვეული ქირურგიული ინსტრუმენტები კოტბუსიდან სპეციალურად ამ პროგრამისთვის თავად ჩამოიტანეს. ამჟამად იგეგმება მეორადი მოხმარების ქირურგიული მიკროსკოპისა და ლაზერის თბილისში ტრანსპორტირება. ოპერაციების გარდა, გერმანელი ექიმები კვირაში, საშუალოდ, ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახის ამბულატორიულ პროცედურასაც ატარებდნენ, რასაც ემატებოდა სემინარები დამწყებ ექიმთათვის და ახალი ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკული კურსები. პაციენტთა რეაბილიტაციის პროცესზე აქტიური დაკვირვების მიზნით გერმანელმა ექიმებმა შემოიღეს შესაბამისი ციფრული სისტემა.

კავკასიის პროექტი დღემდე ძირითადად ორიენტირებული იყო ოტორინოლარინგოლოგიის დარგზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან იგეგმება მისი განვრცობა სისხლძარღვთა ქირურგიის, რევმატოლოგიის და სხივური თერაპიის მიმართულებებით. აღნიშნულ პროგრამებს უხელმძღვანელებენ გამოცდილი გერმანელი პროფესორები, რომელთაც, ერთი მხრივ, შრომატევადი და უანგარო, თუმცა, მეორე მხრივ, საკმაოდ მიმზიდველი თანამშრომლობა ელით ქართველ კოლეგებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, კოტბუსის კარლ-თიმის კლინიკისა და ორგანიზაციის — „ჯანმრთელობა კავკასიისათვის“ — თანამშრომლობის ფარგლებში, ქ. კოტბუსში, სწავლის გაგრძელებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყოველთვის იმყოფებიან ქართველები (დაახლოებით — 6-8 მედიკოსი).

კოტბუსის კარლ-თიმის კლინიკა აფინანსებს რეზიდენტურის კურსდამთავრებულებს და სთავაზობს სპეციალურ საინტეგრაციო პროგრამას. პროფესიით მუშაობის ნებართვის მოპოვების შემდეგ, ექიმებს ეძლევათ ერთგვარი კომპენსაცია მათ მიერ კლინიკაში გაწეული საქმიანობისთვის, რაც გულისხმობს ოცსაათიან დატვირთვას კვირაში; გარდა ამისა, უფასო კვებას, საცხოვრებელს და გერმანული ენის კურსის დაფინანსებას. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ქირურგიულ, ინტერნისტულ თუ ინტერდისციპლინურ სასემინარო პროგრამებში. აღნიშნული პროგრამა, გარდა ამისა, ითვალისწინებს გარკვეული ტიპის სოციალურ მეურვეობას, რათა შორეული ქვეყნიდან ჩამოსულმა სტუმრებმა თავი უცხოდ არ იგრძნონ.

გერმანია, კარლ-თიმის კლინიკა, ლექციაზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნინო აბრალავა, კავკასიის პროექტის ინიციატორი პროფესორი ტომას აიჰჰორნი, კარლ-თიმის კლინიკის საქართველოსთან ურთიერთობების კოორდინატორი, ვივიანე ლინდერი

აქვე შევხვდით ამ პროგრამის მონაწილე სამ ქართველ ექიმს, აქედან ერთი საქართველოში უკვე ექიმ გინეკოლოგად მუშაობს, თუმცა მას გერმანიაში ექიმად მუშაობის უფლება ჯერ არა აქვს, რადგან ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელთაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ გარკვეული სირთულეები აქვს გადასალახი. ერთი წლის მანძილზე მას მხოლოდ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ შეუძლია მუშაობა და ეს უფლება ერთი წლის ვადით არის განსაზღვრული. ამ პერიოდის განმავლობაში ის სწავლობს გერმანულ ენას და ემზადება პროფესიული გამოცდისთვის. მხოლოდ ენასა და პროფესიაში გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მიიღებს აპრობაციას და შეძლებს დამოუკიდებლად პროფესიული საქმიანობის განხორციელებას, თუმცა ის ჯერ კიდევ ვერ იქნება გინეკოლოგი, ამისთვის მან უნდა გააგრძელოს კვალიფიკაციის ამაღლება. ეს გრძელი გზაა, რომელიც ამჟამად კოტბუსის კლინიკაში მყოფ ჩვენს 31 ლლის ქართველ გინეკოლოგს აქვს გასავლელი. ის კოტბუსის კლინიკაში ექიმებს ოპერაციებზე ასისტირებას უწევს.

ქალბატონი ვივიან ლინდნერი (34), კოტბუსის კლინიკაში ქართველ ექიმებს უწევს კოორდინირებას, ის აღტაცებულია მათი გამბედაობით, მაღალი მოტივაციით და მზაობით, გაიარონ ურთულესი გზა.

საზოგადოება — „ჯანმრთელობა კავკასიისათვის“, ერთი შეხედვით, პატარა ორგანიზაციაა, რომლის წლიურ ბიუჯეტს მხოლოდ 12 000 ევრო შეადგენს, ამ ფონზე გაწეული შრომა გაცილებით მეტად ფასობს. მის წარმატებას კი განაპირობებს სამედიცინო თუ ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გამოვლენილი კეთილი ნება და საქმისადმი მათი უანგარო დამოკიდებულება.

რობერტ იახერცის სტატია, გამოქვეყნებული გერმანულ სამედიცინო გაზეთში 2018 წელი; (4) „Aerzteblatt.ge“https://m.aerzteblatt.de/print/196045.htm

გერმანულიდან თარგმნეს: პროფესორმა ნინო აბრალავამ და თამარ კამკამიძემ

ახალი მეგობარი

უცხოური დარგობრივი ენის პირველი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

2018 წლის 2 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა უცხოური დარგობრივი ენის პირველი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მიზანი გახლდათ სტუდენტების აქტიური ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში და სხვადასხვა დარგობრივ ენაზე მოხსენებების წარმოდგენა შემდეგი თემატიკის მიხედვით: მედიცინის უახლესი მიდგომები, მკურნალობის ინოვაციური მეთოდები, დაავადებები და სინდრომები და პროფესიული დაავადებები. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თსსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის 40-მდე სტუდენტმა, მათ შორის იყვნენ უცხოელი სტუდენტებიც.

შიდა საუნივერსიტეტო კონფერენცია გახსნა უცხოური ენების ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნინო აბრალავამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუდენტებს კონფერენციაში მონაწილეობისთვის და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. მან აღნიშნა, უცხოური ენის სრულფასოვანი ცოდნის აუცილებლობაზე თანამედროვე სამყაროში, რომელიც წარმატების საწინდარია, რადგან პროფესიული წინსვლა უცხოური ენების კარგად ფლობის გარეშე წარმოუდგენელია. ასეთი ტიპის კონფერენციები კი ხელს შეუწყობს სტუდენტების სამომავლო განვითარებასა და წინსვლას.

სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სიტყვით მიმართა ასისტენტ-პროფესორმა მაკა ტატიშვილმა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ უცხოური დარგობრივი ენის სტუდენტური კონფერენცია ტრადიციულ სახეს მიიღებს, რადგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის აუცილებელია სამედიცინო ტერმინოლოგიის მაღალ დონეზე ფლობა. სწორედ ამისთვის არის საჭირო მსგავს კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობა, აზრების გაზიარება და კომუნიკაცია.

კონფერენციის ორგანიზატორმა და უცხოური ენების ცენტრის ინგლისური ენის მასწავლებელმა, თინათინ ბუბუტეიშვილმა, წარადგინა კონფერენციის პროგრამა, რომლის მიხედვით მუშაობა წარიმართა ოთხ სექციად - ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების მიმართულებით. კონფერენციაზე სტუდენტების გამოსვლა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა. თითოეულ სექციას ჰყავდა ხელმძღვანელი და ჟიური, რომელიც აფასებდა სტუდენტებს. პროფესორ-მასწავლებელებსა და სტუდენტებს საშუალება მიეცათ საკუთარი აზრის გამოთქმის, კითხვების დასმისა და დისკუსიის შესაძლებლობა.



თითოეული ენის სექციაში გამოვლინდა საუკეთესო მოხსენებები და გამარჯვებული სტუდენტები, რომლებმაც პირველი, მეორე, მესამე ადგილები მოიპოვეს:

ინგლისური ენა: (აღნიშნული სექცია დაყოფილი იყო სამ ნაწილად)

ლევან ბაჯელიძე, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „პარანოიდული შიზოფრენია“;

გიორგი ტვილდიანი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „სამედიცინო ტექნოლოგიები“;

ანასტასია ოსიყმაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „ღეროვანი უჯრედის თერაპია-ახლა და მომავალში“;

მერი ფიფია, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „დნმ-ის ცვლილებების ახალი შესაძლებლობები“;

იანა დოლიძე, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „მომავლის მედიცინა-ბიონიკური კიდურები“;

გიორგი ფოჩხუა, მედიცინის ფაკულტეტის, მეოთხე სემესტრის სტუდენტი, „მარიხუანაზე დამოკიდებულება“;

ანა ოსიაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის, მეოთხე სემესტრის სტუდენტი, „„შფოთვითი აშლილობების ბიოქიმიური და გენეტიკური ასპექტები“;

ციცი მაისურაძე, მედიცინის ფაკულტეტის, მეორე სემესტრის სტუდენტი, „შენი უკეთესი ტვინი“;

ნიკა ხუციშვილი, მედიცინის ფაკულტეტის, მეორე სემესტრის სტუდენტი, „ჰიპოპლასტიკური მარცხენა გულის მარცხენა საკნების სინდრომი“;

ნინო ჭელიძე, მედიცინის ფაკულტეტის, მეორე სემესტრის სტუდენტი, „კორონარული არტერიის დაავადება“;

მარიამ თვაური, მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრის სტუდენტი, „ გულის უკმარისობის მკურნალობის ახალი მეთოდები“;

ანა ბაცანკალაშვილი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრის სტუდენტი, „ყბების ოსტეომიელიტი“;

მარიამ მაჭარაშვილი და ლალი ესებუა, მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრის სტუდენტები, „ქრონიკული ტკივილი და ძილის დარღვევები პალიატიური მკურნალობისას“;

ნატო წიკლაური, მედიცინის ფაკულტეტის მეათე სემესტრის სტუდენტი, „ინდივიდუალური მედიცინის მიდგომები“;

ნათია ცერცვაძე, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეათე სემესტრის სტუდენტი, „პლეომორფული ადენომა“.

უცხოელი სტუდენტები:

სუქანია ფატი, მედიცინის ფაკულტეტის მეთორმეტე სემესტრის სტუდენტი, „ენდომეტრიოზი ენიგმა და ლაპაროსკოპია კიევრისტიკა“;

ლაკიტა რანტავეერა, მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრის სტუდენტი, „იმუნიზაცია შრი-ლანკაში“.

გერმანული ენა:

კახა ბრეგვაძე, მედიცინის ფაკულტეტის მეთორმეტე სემესტრის სტუდენტი, „ნეკრობიოზული ქსანთოგრანულომა: სიახლეები პათოგენეზსა და თერაპიაში”;

მარიამ შალიკაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „მუსიკალური კეთილხმოვანება, როგორც თერაპია”;

ქეთევან ფევაძე, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „ექსპერიმენტული კვლევები ცხოველებზე”.

რუსული ენა:

ირინა სელეპანოვა, მედიცინის ფაკულტეტის მეათე სემესტრის სტუდენტი, „ენდომეტრიოზი. ენდომეტრიოზის დაიგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები”;

ხატია ცირეკიძე, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „სახის ტრანსპლანტაცია;

ანა ხურციძე, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი, „ადამიანის ტვინი”;

ანგელინა გულბანი, მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი,„Hsp70-სითბური შოკის ცილა, რომელმაც დაგვაახლოვა კიბოზე გამარჯვებასთან”.

ფრანგული ენა:

თამარ ცეცხლაძე, მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრის სტუდენტი, „კავასაკის სინდრომი”;

ნუცა ჭიღრაძე, მარიამ ახმეტელი, მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრის სტუდენტები, „საკვერცხეების კეთილთვისებიანი სიმსივნეები”.

კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების ნაშრომები დაიბეჭდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კრებულში. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. დასასრულს, გაიმართა საინტერესო დისკუსია და შეჯამდა სექციებში მუშაობა.

თინათინ ბუბუტეიშვილი, უცხოური ენების ცენტრის ინგლისური ენის მოწვეული პედაგოგი

„ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა“ – პირველი საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში

2018 წლის 19–20 მაისს თბილისში, „ქორთიარდ მერიოტში“, ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა“, რომელიც მიზნად ისახავდა გენეტიკის სფეროში მიმდინარე ტენდენციების და სიახლეების შესახებ მეცნიერების, ექიმების, სტუდენტების და ახალგაზრდა სპეციალისტების ინფორმირებას, თანამედროვე მოლეკულურ-გენეტიკური ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილების გაცნობა-გაზიარებას სამედიცინო და საბუნებისმეტყველო დარგში მოღვაწე პროფესიონალებს შორის. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი მედიკოსები და უცხოელი მაღალი რანგის ექსპერტები ისეთი წამყვანი სამეცნიერო-კლინიკური ცენტრებიდან, როგორიცაა: მეიოს კლინიკა (აშშ), სკრიპსის კვლევითი ინსტიტუტი (აშშ), სტენფორდის უნივერსიტეტი (აშშ), ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი), ლუვენის უნივერსიტეტი (ბელგია), კარდიფის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), რადბაუდი უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), ერევნის სამედიცინო უნივერსიტეტი (სომხეთი) და სხვა. ღონისძიების ორგანიზატორები – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი, სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება. კონფერენცია დაფინანსებული იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

კონფერენცია გახსნა თსსუ-ის სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა ელენე აბზიანიძემ, რომელმაც ისაუბრა კონფერენციის ჩატარების მნიშვნელობასა და მიზანზე, მადლობა გადაუხადა მონაწილეებს, ყველა სტუმარს, რომლებმაც მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, გამონახეს დრო კონფერენციაში მონაწილეობისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად რექტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას, ღონისძიების ჩატარებაში გაწეული თანადგომისთვის, რუსთაველის ფონდს; კონფერენციის კოორდინატორს ეკა კვარაცხელიას, რომელმაც სრულად უზრუნველყო ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება, კონფერენციის ორგანიზატორთა გუნდს: თინათინ ტყემალაძეს და ნინო ფირცხელანს და დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს, აგრეთვე, დამსწრე საზოგადოებას – ექიმებს, მეცნიერებს, სტუდენტებს და ღონისძიების სპონსორებს.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რომელმაც აღნიშნა: „მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში პირველად იმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სამედიცინო გენეტიკის აქტუალურ საკითხებს შეეხება. კონფერენციის მნიშვნელობა განსაკუთრებულია იმიტომაც, რომ მასში მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი და უცხოელი მეცნიერები იღებენ მონაწილეობას... ბოლოდროინდელი მიღწევები გენეტიკაში პირდაპირ უკავშირდება მედიცინის განვითარებას, სამედიცინო დიაგნოსტირებას და მკურნალობის მეთოდების სრულყოფას, შესაბამისად, მძლავრი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას. სასიხარულო და საამაყოა, რომ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორია თსსუ–ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი, მისი ხელმძღვანელი, პროფესორი ელენე აბზიანიძე; აქ იმყოფებიან გენეტიკოსები, ექიმები, ფარმაცევტები, ბიოლოგები და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერების განვითარებას მომავალში.“ თსსუ-ის რექტორმა მადლობა გადაუხადა უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, სტუდენტებს, დოქტორანტებს, კონფერენციის ყველა მონაწილეს და წარმატება უსურვა მათ.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ნოდარ მითაგვარიამ, თსსუ–ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა, მეიოს კლინიკის (აშშ) მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ჭყონიამ, თსუ-ის პროფესორმა თემურ ლეჟავამ და სხვებმა. აღინიშნა, რომ რევოლუციური გარდაქმნების ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მედიცინაში პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინა, რომლის განვითარებაც გენეტიკის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია – წარმატებები, რომელიც ასე თვალსაჩინოა დღეს მედიცინაში, სრულად ეფუძნება უახლეს აღმოჩენებს გენეტიკაში. მსგავსი კონფერენციები კი, გამოჩენილი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების მონაწილეობით, აზრთა გაცვლა–გამოცვლის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა.

კონფერენცია შემდეგ თემატურ მიმართულებებს მოიცავდა: სამედიცინო გენეტიკა, ეპიგენეტიკა, სიბერის გენეტიკა, გენური თერაპია, ღეროვანი უჯრედებით თერაპია, გენომიკა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეთიკური საკითხები.

აღსანიშნავია, რომ უცხოელ ექსპერტებთან ერთად, პლენარულ და სასექციო სესიებზე, საინტერესო და მნიშვნელოვანი თემატური მოხსენებებით წარდგნენ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ელენე აბზიანიძე, თანამშრომლები: ასოცირებული პროფესორები: ეკა კვარაცხელია, ნინო ფირცხელანი, თინათინ ტყემალაძე და დოქტორანტები: ქეთევან კანკავა, თამარ კვარაცხელია და ქეთევან ქართველიშვილი, რომლებმაც დეპარტამენტში მიმდინარე სამეცნიერო და კლინიკური კვლევების შედეგებზე ისაუბრეს.

თინათინ ტყემალაძის ინიციატივით FDNA-ის წარმომადგენელმა ნიკოლ ფლეიშერმა (აშშ) კონფერენციის ფარგლებში ჩაატარა ვორქშოფი: ხელოვნური ინტელექტის (Face2Gene) გამოყენება იშვიათი დაავადების დიაგნოსტირებაში კლინიკურ პრაქტიკაში. ვორქშოფის ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ და პრაქტიკულად გამოეყენებინათ Face2Gene პროგრამა, რომელიც წარმოადგენს დამხმარე საშუალებას მოხდეს დიზმორფული ნიშნების მქონე პაციენტების დიაგნოსტირება ფენოტიპური ინფორმაციის გამოყენებით. ვორქშოფის ყველა მონაწილემ საჩუქრად მიიღო წიგნი „Elements of Morphology – Human Malformation Terminology“ და მონაწილეობის სერტიფიკატი.

ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე სტუმარს, რომლებმაც შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს მიმდინარე კონფერენციის შესახებ.

თამარ ჭყონია, მეიოს კლინიკის (აშშ) მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

დღევანდელი კონფერენციის მთავარი გზავნილია აჩვენოს მეცნიერებს, ექიმებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, თუ რა მნიშვნელოვანია

მათი თანამშრომლობა, რომ მოლეკულური გენეტიკა, დიაგნოსტიკური ტესტირება და ა. შ. მომავლის მედიცინის განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ სახელგანთქმულ მეცნიერებთან ერთად კონფერენციაში აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტები, რომლებიც კიდევ უფრო მეტს შეიტყობენ მათი მოხსენებებიდან. მოგეხსენებათ, მეიოს კლინიკა, სადაც ვმოღვაწეობ, ერთ–ერთი საუკეთესო კლინიკა გახლავთ არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში და ჩემს სტუდენტებს ხშირად ვახსენებ კლინიკის დამფუძნებლების, ძმებ მეიოების, გამონათქვამს: „წერეთ სამეცნიერო შრომები!.. შესაძლოა, თავიდან გეჩვენებოდეთ, რომ ამას დიდი სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ შემდეგ აღმოაჩენთ, რომ ეს არათუ ფუჭი შრომაა, არამედ ბევრს შეგძენთ და მნიშვნელოვანია თქვენი მომავალი განვითარებისთვის“... აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ ვმუშაობთ სიბერის გენეტიკის საკითხებზე, ვცდილობთ შევისწავლოთ სიბერის პროცესის განვითარების მექანიზმები და ამ მექანიზმების მანიპულირება ისე, რომ შევაჩეროთ, „დავამუხრუჭოთ“ დაბერების პროცესის თანმდევი სხვადასხვა დაავადების განვითარება, რადგან თუ აქამდე მხოლოდ სიცოცხლის გახანგრძლივება იყო მეცნიერების შესწავლის საგანი, დღეს უკვე ადამიანის სიცოცხლის ჯანსაღი და ქმედითუნარიანი პერიოდის გახანგრძლივების საკითხებზე გვინევს მუშაობა – ექსპერიმენტულ კვლევებში კარგი შედეგები გვაქვს, ვიმედოვნებთ, კლინიკაშიც დადებითი შედეგების მოწმენი გავხდებით...

პროფესორი ზაალ კოკაია, ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი:

სამედიცინო გენეტიკა წარმოადგენს თანამედროვე ბიომედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, ეს გახლავთ ძალიან განვითარებადი და სწრაფადცვალებადი მედიცინის დარგი, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის სამეცნიერო შეკრებებზე მოვისმინოთ სწორედ ამ სიახლეების, განვითარების და გარღვევების შესახებ, რაც დარგში მუდმივად ხორციელდება. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის გენომის შესახებ აქტუალური საკითხების განხილვის შესაძლებლობა გვეძლევა და, მეორე მხრივ, ამ შეხვედრას საგანმანათლებლო მნიშვნელობაც აქვს სტუდენტებისა თუ დოქტორანტებისთვის, ანუ ღირებულია, როგორც მეცნიერების, ისე საგანმანათლებლო თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, გენეტიკური ინსტრუმენტები და მეთოდები ბიოსამედიცინო კვლევის ნებისმიერი მიმართულების განუყოფელი ნაწილია – დღეს ეს უკვე ჩვენი ექსპერიმეტული თუ კლინიკური მუშაობის რუტინა გახდა და შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ ვერც ვაანალიზებთ, თუ რამხელა მიღწევებია დარგში – რომ გავიხსენოთ 10 წლის წინანდელი ვითარება, დავინახავთ მკაფიო და თვალსაჩინო განსხვავებას განვითარების თვალსაზრისით, რაც, ბუნებრივია, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების და მიღწევების კვალდაკვალ, საქართველოშიც შესამჩნევია.

პროფესორი მერაბ კოკაია, ლუნდის უნივერსიტეტის ეპილეფსიის ცენტრის დირექტორი:

მოხარული ვარ, რომ ასეთ მნიშვნელოვან კონფერენციაში ვიღებ მონაწილეობას. წარმოვადგენ მოხსენებას გენურ თერაპიაზე ეპილეფსიაში. სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობ შვედეთში. აღსანიშნავია, რომ გენური თერაპია არათუ სამომავლო პერსპექტივაა, უკვე დანერგილია სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, მაგალითად, პარკინსონის დაავადების დროს კლინიკურმა კვლევებმა კარგი შედეგები აჩვენა, ვცდილობთ დავნერგოთ ეპილეფსიის მკურნალობაშიც, კერძოდ იმ პაციენტებში, სადაც თანამედროვე მკურნალობის მეთოდები, სამწუხაროდ, უშედეგოა. აქვე აღვნიშნავ, რომ შეუძლებელია ისაუბრო ადამიანის ჯანმრთელობაზე, მედიცინის განვითარებაზე, გენეტიკის გარეშე, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ეს მიმართულება ვითარდება და ასეთი ღონისძიებები ტარდება, სადაც მოწვეულნი არიან დარგის აღიარებული სპეციალისტები მთელი მსოფლიოდან – უცხოელი და ქართველი მეცნიერების მსჯელობა სამედიცინო გენეტიკის საკითხებზე, ახალგაზრდების დაინტერესება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რისი მოწმენიც დღეს ვართ, ვფიქრობ, დარგის მომავალი განვითარების საწინდარია.

კონფერენციის მუშაობის შედეგების შეჯამებისას, თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა ელენე აბზიანიძემ აღნიშნა:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება არაერთი საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორი გახლავთ. წლების მანძილზე დაფუძნებული სტუდენტური სამეცნიერო კლუბ „მეგ“-ის (მომავალი ეკუთვნის გენეტიკას) კონფერენციები ყოველთვის გამოირჩეოდა აქტუალური საკითხების განხილვით და შემოქმედებითი მიდგომით. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ წელს უკვე მეოთხედ ტარდება დნმ-ის დღისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსი, რომელშიც ყოველწლიურად მონაწილეობენ სტუდენტები მთელი საქართველოდან, მას მხარს უჭერს ევროპის გენეტიკის საზოგადოება. კონკურსში გამარჯვებულებისთვის საზოგადოების მიერ დაწესებულია ფულადი ჯილდოები. სწორედ ამ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდა ჩვენ მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო კონფერენცია – „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა“. მოგეხსენებათ, ადამიანის გენომის ცვლილებები თავისთავად დაკავშირებულია ბიოლოგიურ პროცესთან, ადამიანის ჯანმრთელობასთან. ადამიანის გენომი გახდა პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინის საფუძველი. ამ და სხვა საინტერესო საკითხებს შეეხებოდა კონფერენცია, რომელიც პირველად გაიმართა საქართველოში და იგი ნამდვილად შედგა. ჩვენი მიზანი გახლდათ კონტაქტების გაღრმავება უცხოეთში მოღვაწე ცნობილ მეცნიერებთან, სამეცნიერო-კვლევითი და სამედიცინო საზოგადოების ინტეგრირება, მომავალი თაობის დაინტერესება მეცნიერებით, ცოდნის გაზიარება და მათი ხელშეწყობა-წახალისება, რაც, ვფიქრობ, შევძელით. უცხოელ პარტნიორებთან დაიგეგმა კოლაბორაციული კვლევითი პროექტები და თსსუ-ში ლექციების წაკითხვა. სტუმრებმა განსაკუთრებით აღნიშნეს კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების ცოდნის მაღალი დონე, რომლებიც საინტერესო შეკითხვებითა და აქტიური მონაწილეობით გამოირჩეოდნენ. ყოველი ეს აქტივობა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ წარმატებულად გავუმკლავდეთ იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ მუდმივად ცვალებად დარგში არსებობს. იმედი გვაქვს, კონფერენცია ტრადიციად დამკვიდრდება და ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი შედეგებისა და საგანმანათლებლო აქტივობების ინტეგრაციას კლინიკურ პრაქტიკაში.

ნატო ბოლქვაძე

ინიციატივა შეგიძლიათ

კვანძოვანი ერითემა (Erythema nodosum EN)

კვანძოვანი ერითემა (Erythema nodosum EN) - ნოდულარული, ერითემული წარმონაქმნები უპირატესად ქვედა კიდურების გამშლელ ზედაპირებზე. კვანძოვანი ერითემა (Erythema nodosum -EN) არის მოგვიანებითი ტიპის ჰიპერსენსიტიური რეაქციის გამოვლინება. ტრიგერულ ფაქტორებად მიჩნეულია: ინფექცია, მალიგნიზაცია, სხვადასხვა ანთებითი პათოლოგია, როგორიცაა სარკოიდოზი, ნაწლავთა ანთებითი დაავადებები. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მიზეზი უცნობია. ბავშვთა ასაკში კვანძოვანი ერითემის 30-50% -ში ეტიოლოგია უცნობია(Nelson Textbook of Pediatrics). ბრიტანელი მეცნიერების მონაცემების თანახმად, დაავადების სიხშირეა 2.4 შემთხვევა 10 000 მოსახლეზე წელიწადში. დაავადების მორფოლოგიური საფუძველია სეპტალური პანიკულიტი.

პაციენტი გოგონა ბ.მ., 12 წლის, შემოვიდა თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ჩივილებით: ავადაა 2 კვირა, დაავადება დაეწყო ძლიერი ართრალგიით, მიალგიით, T39-40. აღნიშნულ ჩივილებს დაერთო ძლიერი ადინამია, სისუსტე, სიარულის გაძნელება, დაავადების მე-3 დღიდან გამოიხატა კვანძოვანი, ჰიპერემიული გამონაყარი ორივე ქვემო კიდურზე სიმეტრიულად.

შემოსვლისას ბავშვს აღენიშნებოდა ართრალგია, მიალგია, ფებრილური ტემპერატურა, გამონაყარი-ჰიპერემიული, მტკივნეული, ქვემო კიდურების პერიარტიკულარული რბილი ქსოვილები — შეშუპებული; მოძრაობის სრული შეზღუდვა ტკივილის გამო. გამოხატული ჰეპატოსპლენომეგალია. კლინიკური მონაცემები მეტყველებდა კვანძოვანი ერითემის სასარგებლოდ. პროტოკოლის მიხედვით (uptodate 2017) დიფერენციალური დიაგნოზი გატარდა შემდეგ დაავადებებს შორის: რევმატიული ცხელება გულის დაზიანებით, კვანძოვანი პერიარტერიიტი, სპეციფიკური პროცესი. ჩატარდა კომპლექსური კვლევები: გულ-მკერდის რენტგენოგრამა, მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი კვლევა (სპლენომეგლია), კარდიოექოსკოპია (პათოლოგიური ცვლილებების გარეშე). პერიფერიულ სისხლში ანთების მაღალი მარკერები. გამოირიცხა ტუბერკულოზური ინფექცია.

ANA- neg, VCA IgM 2+; Heterophile ab IgM 1+; VCA IgG 1+; EBNA IgG 1+, რაც მეტყველებს Infectious mononucleosis EBV associated არსებობაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მივიჩნიოთ დაავადების ეტიოლოგიურ ფაქტორად.

დაავადების მიმდინარეობა იყო მძიმე; გახანგრძლივდა ჰექტიური ტემპერატურა, ზოგადი ინტოქსიკაცია. მკურნალობა დაიწყო ინტრავენური კორტიკოსტეროიდით, მესამე თაობის ცეფალოსპორინითა და სიმპტომური საშუალებებით. მკურნალობის ფონზე მდგომარეობა გაუმჯობესდა- ართრალგია, მიალგია, ადინამია მოიხსნა. დინამიკაში - აქტიური, აფებრილური, მოძრაობა შეუზღუდავი, კანი — ახალი ელემენტები არ ვლინდება, ერითემული კვანძები ალაგების ფაზაში.

კვანძოვანი ერითემა, წარმოადგენს გამოწვევას პედიატრისთვის ეტიოლოგიური ფაქტორების, ასოცირებული დაავადებების გათვალისწინებით. აღნიშნული კლინიკური შემთხვევა არის იშვიათი ფორმა კვანძოვანი ერითემისა, რომელიც დაკავშირებული იყო EBV -თან.

პროფესორი მანანა ქვანია,
თინათინ კუტუბიძე,
ეკა ნახუცრიშვილი,
თსსუ- ის გ. ქვანიას სახელობის
პედიატრიის აკადემიური კლინიკა

პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის საიუბილეო საღამო

დიდი შრომის ფასად ამქვეყნად შეიძლება ყველაფერს მიაღწიო: გქონდეს წარმატებული კარიერა, მეცნიერული მიღწევები, იყო შეუცვლელი პედაგოგი... მაგრამ ვერანაირი ძალისხმევა ვერ უზრუნველყოფს იმ შინაგან კულტურასა და არისტოკრატიზმს, რის ჩამოყალიბებასაც ჭეშმარიტად თაობები სჭირდება — დახვეწილი, ინტელექტუალური, ზნეობრივად სრულყოფილი თაობები... ჯონ გოლზუორთის ფრაზა: კულტურა ეს არის ოთხი თაობა ერთ ოჯახშიო, თავისდაუნებურად დასტურდება ცხოვრებისეული მაგალითებით. ეს ის მაგალითებია, რომელიც ხშირად გვილამაზებს ყოველდღიურობას, სამაგალითოდ და საამბობლად გვაქვს შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის. და ერთი ასეთი მაგალითია პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის ცხოვრება...

მისი სახელის თანამდევი კეთილი ღიმილი და ცრემლის კურცხალი თვალზე არ არის გამოწვეული მართლაც და მნიშვნელოვანი მიღწევებით სამედიცინო სფეროში — ამისი საფუძველი, უპირველესად, მაღალი ზნეობისა და შინაგანი არისტოკრატიზმის შეგრძნებაა — შეგრძნება, რომელიც ყველას უჩნდებოდა, ვინც კი იცნობდა ბატონ ნუგზარს. მას არ სჭირდებოდა თავისი თავის, როგორც წარმატებული და ნიჭიერი პროფესიონალის, დემონსტრირება, რადგან ეს ისედაც ცხადი იყო... მას არ სჭირდებოდა იმისი ხაზგასმა, რომ მისი მსგავსი დახვეწილი პიროვნებები გააიშვიათა და ლამის გააქრო საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობამ, რადგან თავისი ცხოვრებით ისედაც ადასტურებდა ამას. არ ეშინოდა უბრალოების, არ ართულებდა ცხოვრებას არავისთვის... პირიქით: ლაღი იყო და უშურველი, მხიარული და სპორტული, უსაზღვროდ განათლებული და თავდაუზოგავი, როგორც ოჯახის მამა, მეგობარი, პედაგოგი და მეცნიერი.

სწორედ ამიტომ პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის ხსოვნის საღამო არ გახლდათ მხოლოდ გახსენების საღამო, ეს იყო ერთგვარი ზეიმი სულიერებისა.

გამოჩენილი ქართველი თერაპევტის და მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა. მან ისაუბრა

პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის განუზომელ ღვაწლსა და პიროვნულ ღირსებებზე, იმ განსაკუთრებულ თვისებებზე, რომლითაც ბატონი ნუგზარი ყველასგან გამორჩეულ, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებად დარჩა თანამედროვეთა მეხსიერებაში: „ის იყო ევროპეიზმის განსახიერება. მისი სისუფთავე, გულწრფელობა, დახვეწილობა უაღრესად გამოირჩეოდა საბჭოთა ეპოქაში, ბატონი ნუგზარი თავისი ზნეობით იყო არისტოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენელი. მოწაფეებს უსაზღვროდ უყვარდათ. მეც მისი მოწაფე ვარ და ძალიან ვამაყობ ამით“ — აღნიშნა პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა.

პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის ცხოვრებაზე ისაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ნუგზარ ნარსიამ: „დიდია ნუგზარ ტატიშვილის წვლილი საქართველოში მედიცინის ისეთი დარგების განვითარებაში, როგორებიცაა: კლინიკური იმუნოლოგია (ათეროსკლეროზის განვითარების იმუნური მექანიზმები), კარდიოლოგია (გულის იშემიური დაავადების და გულის ქრონიკული უკმარისობის პათოგენეზის მოლეკულური მექანიზმები). მან საქართველოში პირველად გამოიყენა და დანერგა გულის ღრუების და ფილტვის არტერიის კათეტერიზაციის მეთოდები გულის უკმარისობის დიაგნოსტიკისა და რაციონალური თერაპიის წარმართვისთვის. აკადემიკოსი ნუგზარ ტატიშვილი იყო 200 სამეცნიერო შრომის (მათ შორის — 8 მონოგრაფიის და 2 სახელმძღვანელოს) ავტორი. სახელმძღვანელო „შინაგანი სნეულებები“, რომლის შექმნისთვის იგი დაჯილდოებული იყო წმინდა ილარიონ ქართველის პრემიით, სამაგიდო წიგნად იქცა სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებისთვის. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 22 საკანდიდატო დისერტაცია“...

აუდიტორიას მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გერიატრიის დეპარტამენტისხელმძღვანელმა, პროფესორმა, გაიანე სიმონიამ. მან გაიხსენა ის დღე, როცა პირველად ნახა პროფესორი ნუგზარ ტატიშვილი. რა დიდი იყო მისი გაოცება, როცა აღმოაჩინა, რომ საბჭოთა სამყაროში არსებობდა პროფესორი, რომელიც თავისუფლებას ყველაზე მაღლა აყენებდა და თავისი ცხოვრების წესით ნამდვილად თავისუფალი პიროვნება გახლდათ: მოკლებული იყო ქედმაღლობას და ამავდროულად იყო უაღრესად შრომისმოყვარე, საოცრად კეთილგანწყობილი თანამშრომლების და სტუდენტების მიმართ, ფლობდა 5 უცხოურ ენას და 65 წლის ასაკში დაიწყო ახალი ენის შესწავლა, შესანიშნავად თამაშობდა ჩოგბურთს, ხატავდა, პროფესიულ დონეზე ასრულებდა საფორტეპიანო ნაწამოებებს, არ იყო საკუთარი მიღწევებისა და მდგომარეობის „ტყვე“ - პირიქით, მისი უკიდეგანო თავისუფლება და მაღალი ღირსება ნამდვილი მაგალითი იყო ყველასთვის - მაგალითი გაიშვიათებული ზნეობრიობისა და სულიერი სიმაღლისა.

პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის შესახებ ისაუბრეს პროფესორებმა: რამაზ ხეცურიანმა, ბესარიონ კილასონიამ, გურამ ბექაიამ, ელგუჯა ადამიამ.

თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა, ბატონმა ჯონი ჯანაშიამ, აღნიშნა, რომ მხოლოდ პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის მაგალითზე მიხვდა რას ნიშნავდა სიტყვათშეთანხმება — დახვეწილი არისტოკრატი...

საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის ოჯახზე, მის მეუღლეზე — ქეთევან ანჯაფარიძეზე, მათ უსაზღვრო სიყვარულზე. აუდიტორიის წინაშე გამოვიდა პროფესორ ნუგზარ ტატიშვილის ქალიშვილი მაკა ტატიშვილი, რომელმაც მადლიერებით ისაუბრა თავის წინაპრებსა და მამაზე - საამაყო და სანიმუშო პიროვნებაზე...

საღამოს ერთგვარი შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ქალბატონმა ქეთევან ანჯაფარიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს, ყველა გამომსვლელს და ერთი არაორდინალური წინადადებითაც მიმართა მსმენელებს: მადლობა მინდა გადავცე ჩემს მეუღლეს — ნუგზარ ტატიშვილს, მადლობა ყველაფრისთვის!

საღამო დასრულდა ტელეკომპანია „პულსის“ მიერ გადაღებული, რეჟისორ თინათინ დაბრუნდაშვილის ემოციური და გემოვნებიანი ფილმის ჩვენებით, რომელიც პროფესორი ნუგზარ ტატიშვილის ცხოვრებას ეხება. ამ ფილმში შესულ ისტორიულ კადრებს შეუნახავთ ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების შეფასებები, მათი გულწრფელი აღტაცება და პატივისცემა ნუგზარ ტატიშვილის პიროვნებისადმი, მისი ოჯახისადმი. ლეგენდად ქცეული სიყვარულისადმი. ფილმმა კიდევ ერთხელ წაიყვანა მაყურებლები იქ, სადაც მაღალინტელექტუალური და ეროვნული ერთობლივად ქმნიდა სრულყოფილ სახეს ქართული ოჯახისას. აქ ნუგზარ ტატიშვილი ფორტეპიანოზე უზადოდ ასრულებდა ბახსა და მოცარტს და ამავე დროს აკორდეონზე შეეძლო დაეკრა ქალაქური მელოდები. მან იცოდა ნამდვილი ფერწერის ფასი, ეტრფოდა ფიროსმანის შემოქმედებას და ამავდროულად თავადაც ხატავდა დაუვიწყარ სცენებს ძველი ქალაქის ცხოვრებიდან. მისი ერუდიცია და უბრალოება ხიდად და პლაცდარმად უხვდებოდა სტუდენტებს მომავალ კარიერაში.

ნუგზარ ტატიშვილმა დაანახა ყველას, როგორ შეიძლება ცხოვრება დღესასწაულად ქცეულიყო... და კიდევ... მისი შეხვედრა მძიმე სნეულებასთან და შემდეგ გარდაცვალებასთან კიდევ ერთი სიმაღლე იყო — ადამიანურიცა და პროფესიონალურიც. თავისი სიცოცხლის ბოლო თვეები პროფესორმა ნუგზარ ტატიშვილმა ისე შემოსა სიყვარულითა და ვაჟკაცობით, როგორც ნამდვილ რაინდს ეკადრებოდა...

ლელა მუკგანიანი

იცნობდეთ და გახსოვდეთ

გიორგი დანელია - გამოჩენილი ქართველი მედიკოსი, სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - იმ მეცნიერთა წარმომადგენელია, ვინც არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკაში წარუშლელი კვალი დატოვა. ამ არაორდინარულ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანზე მოგონებები ცხოვრებისადმი, ადამიანებისადმი, ხელოვნებისადმი, წიგნებისადმი, მუსიკისადმი მისი დამოკიდებულებით გვინდა დავიწყოთ – რაც მის საინტერესო ბიოგრაფიას შეადგენს. თომას ედისონს სთხოვეს ეპასუხა კითხვაზე: — რით ინტერესდებით? მან მოკლედ უპასუხა: — ყველაფრით. არიან ადამიანები, რომელთაც ყველაფერი აინტერესებთ.მრავალმხრივი და უწყვეტი ინტერესი ყველაფრისადმი, განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლისადმი სიყვარულით. მისი მეგობრებისა და ახლობლების მოგონებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ხასიათის ეს თვისება იყო მასში მთავარი. მან პროფესიის არჩევაც ცხოვრებას მიუძღვნა, ცხოვრების უსაზღვრო სიყვარულს. სიკვდილის მიზეზების გაგება, მათი მრავალწახნაგოვანი და სიღრმისეული კვლევა პათოლოგანატომისთვის სწორედ რომ სიცოცხლისთვის ბრძოლას უერთდება.

მარცხნიდან მარჯვნივ: პროფესორი უჩა გაბუნია, აკადემიკოსი თამარ დეკანოსიძე, პროფესორი გიორგი დანელია, პროფესორი გულნარა გერსამია, პროფესორი რევაზ კაპანაძე და პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე.

ყოველი ადამიანის ბიოგრაფიის სათავეები ოჯახიდან იწყება. ბავშვობის გარემომცველ სამყაროში, იმ ოჯახურ ჩვევებსა და ტრადიციებში, ქცევათა წესებში, რომლებსაც საფუძველი ადრეულ ასაკში ეყრება. გიორგის ოჯახში ბიჭიკოს ეძახდნენ და ეს სახელი მას მრავალი წლის მანძილზე ახლობლებსა და მეგობრებში შემორჩა, იგი გამოჩენილი მეცნიერის, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, სერგი დანელიას შვილი იყო.

მუშაობა, მიზანსწრაფვა, წესრიგისადმი სიყვარული, ჯანსაღი აზრი – ფილოსოფოს სერგი დანელიასთვის ეს ცნებები ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ მთავარ ადამიანურ თვისებად წესიერებას მიიჩნევდა.

დანელიას ოჯახში იმ საშინელ წლებშიც კი, როდესაც კარებზე გაუთვალისწინებელი კაკუნი შეიძლება ცხოვრებიდან წასვლის მომასწავებელი ყოფილიყო, ბავშვებთან ყოველივე ამაზე საუბარი არ ეშინოდათ, რადგანაც შვილებს აზროვნების სრული თავისუფლებით ზრდიდნენ, რომელთაც უნდა აღექვათ რეალობა, მაგრამ არ უნდა დაეკარგათ მათში ბუნებრივად ჩადებული საკუთარი ღირსების გრძნობა.

მის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბავშვობიდან დამამახსოვრდა გოეთეს სიტყვები: „მხოლოდ ის არის სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსი, ვინც ყოველდღე მიდის ბრძოლაში მის მოსაპოველად“. ამ სიტყვების შემმართებელი ძალა ყოველთვის თან მდევდა და მეხმარებოდა ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც; არანაირი სიძნელეების დროს ფარ-ხმალს არ ვყრიდი, ვიბრძოდი გამარჯვებამდე“!

იმ ცოდნის გარდა, რასაც გიორგი თავის ძმასთან, ალექსანდრესთან (მომავალში - მედიკოსი) ერთად ოჯახსა და სკოლაში იძენდა, მას ჰქონდა მრავალმხრივი ნიჭი, რაც ნებისმიერი პროფესიის არჩევის საშუალებას აძლევდა; უპირველესად - მუსიკალურობა. გიორგი, შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე. წლების შემდეგ მის საყვარელ ინსტრუმენტად გიტარა იქცა. ბავშვობიდან შესანიშნავად ხატავდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა, თითქოს პროფესია არჩეული ჰქონდა, მაგრამ უფროსი ძმის საინტერესო მონათხრობმა, გიორგის გადააწყვეტინა უფროსი ძმის გზით წასულიყო და მედიცინა აირჩია.

1946 წელს გიორგი დანელიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა. სწავლობდა ძალიან კარგად. ასპირანტურის დასრულების შემდეგ არჩევანი პათოლოგიურ ანატომიაზე შეაჩერა, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა უდიდესი მეცნიერის, ვლადიმერ ჟღენტის, ავტორიტეტმა.

ის, რომ პათოლოგიური ანატომია ერთ-ერთი ძირითადი სამედიცინო დისციპლინაა, დანელიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იცოდა, ხოლო ამ განსაკუთრებული დისციპლინის ფილოსოფიური არსი შეიცნო ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციებზე მუშაობისას. გზა ამ ორი სამეცნიერო მწვერვალისკენ გადიოდა ნაყოფიერ და თავგადადებულ შრომაზე. მისმა დისერტაციებმა, სპეციალისტების აზრით, პერინატალურ მორფოლოგიაში ახალი ეტაპი შექმნა.

პირველმა შეადგინა სხვადასხვა პერინატალური პათოლოგიის შესაბამისი პათოლოგენეზური სქემები, მის მიერ ჩატარებული მორფოლოგიური კვლევების მონაცემები დაედო საფუძვლად ქალთა პათოლოგიის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდიკის დასაბუთებას. ამ სამუშაოთა ციკლისთვის გ. დანელიას (მეცნიერთა ჯგუფთან ერთად) სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გიორგი დანელია პათოლოგანატომიური სამსახურის პრაქტიკისა და თეორიის დანერგვის ერთ-ერთი პიონერია. მან პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიმუშავა და დანერგა ნაყოფისა და ახალშობილის პათოლოგანატომიური გამოკვლევის პროტოკოლი. გიორგი დანელიას სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა თითქმის მთელ პათოლოგიურ ანატომიას. იგი ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რომლებიც ცნობილია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული კლინიკურ-ანატომიური კონფერენციები კლინიცისტებისთვის პროფესიული სრულყოფის ნამდვილი სკოლა იყო. გიორგი დანელიამ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ღირსების ორდენის კავალერმა, აღზარდა მედიცინის მეცნიერებათა 8 დოქტორი და 34 კანდიდატი. მის მადლიერ მოწაფეებს შორის არიან არა მარტო პათოლოგანატომები, არამედ ჰისტოლოგები და ციტოლოგები.

„ბატონმა გიორგიმ ჯერ კიდევ პერინატოლოგიის გარიჟრაჟზე დარბაისლური ქართულით ჩამოაყალიბა ადამიანის ნაყოფისა და ახალშობილის პათოლოგიური მეთოდოლოგიის ტერმინოლოგია“- ეს სიტყვები ეკუთვნის აკადემიკოს პალიკო კინტრაიას.

2003 წელს გიორგი დანელიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ, აღნიშნა: „თქვენ სამართლიანად დაიმკვიდრეთ პერინატალური პათოლოგიის ფუძემდებლის საპატიო სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც“.

გიორგი დანელია 90 წლის იუბილემდე 3 თვით ადრე გარდაიცვალა. კოლეგებმა, მოწაფეებმა, ახლობლებმა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული მოამზადეს, მეცნიერის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტატია, დასათაურებულია მოკლედ და ტევადად: “სუპერპროფესიონალი”.

მრავალმხრივი ნიჭიერებისა და ინტერესების მქონე გიორგი დანელიაზე მისი ახლობელი ადამიანების მოგონებებითაც თვალსაჩინოა, თუ როგორ დაუღალავად, მაგრამ გასაოცარი და ჭეშმარიტად არტისტული სიმსუბუქით იპყრობდა იგი სიმაღლეს პროფესიაში.

როდესაც უკრავდა გიტარაზე და მღეროდა, უმაღლესი შთაგონების წუთებში - იგი იყო მუსიკოსი; როდესაც კითხულობ-

დასასრული გვ 8-ზე

მომღერალ ვაჟთა გუნდის და გოგონათა ანსამბლ „დეკას“ კონცერტი

ახალი თაობის წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემოქმედებითი ცხოვრება მრავალფეროვანი ღონისძიებებით დატვირთულია. ამჯერად თსსუ-ის თეატრალურ დარბაზში სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული მომღერალ ვაჟთა გუნდის და გოგონათა ანსამბლ „ დეკას“ კონცერტი გაიმართა. კონცერტის დაწყებამდე ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ბადრი მაჭავარიანმა, საზოგადოებას შეახსენა სახალხო ანსამბლის ისტორია, რომელიც არსებობის 34 წელს ითვლის და მასში, 80–იანი წლებიდან მოყოლებული, მღეროდნენ ცნობილი შემსრულებლები ისეთი აღიარებული ანსამბლებიდან, როგორებიცაა: „ერისიონი“, „თბილისი“, „ქართული ხმები“, „ალილო“... 1996 წლიდან ანსამბლში მოდის ახალი თაობა, რომელსაც 2000 წლიდან მსმენელი ანსამბლ „ფესვების“, ხოლო მოგვიანებით ანსამბლ „შვიდკაცას“ სახელით გაიცნობს. მაშინ სწორედ აღნიშნულ ანსამბლებში მღეროდნენ ცენტრთან არსებული ამჟამინდელი ვაჟთა მომღერალ გუნდის და გოგონათა ანსამბლ „დეკას“ ლოტბარები – დავით და დათუნა რატიანები.

გავესაუბრეთ გოგონათა ანსამბლ „დეკას“ ლოტბარს, ბატონ დავით რატიანს, რომელმაც მადლიერებით ისაუბრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაზე იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ანსამბლის თითოეული წევრი გრძნობს და აღნიშნა: „ანსამბლის ძველი თაობა სრულად ჩაანაცვლა ახალმა და დღეს სწორედ ისინი წარდგებიან მსმენელის წინაშე. ცვლილება განიცადა რეპერტუარმაც, ხალხურ სიმღერებთან ერთად შესრულდება იოსებ კეჭაყმაძის და შალვა ილურიძის სიმღერები და, რაც მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, სცენაზე მდგომი 26 ახალგაზრდიდან 21 სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახლავთ, რომლებიც, ვფიქრობთ, გაამართლებენ იმედებს და მსმენელის მოწონებას დაიმსახურებენ...“

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა მომღერალ ვაჟთა გუნდის და გოგონათა ანსამბლ „დეკას“ მიერ შესრულებული სულშიჩამწვდომი ქართული ჰანგები, ხანგრძლივი ტაში და ოვაციები კი მსმენელის აღფთოვანებას ადასტურებდა.

ნატო ბოლქვაძე

ახალი სახელმძღვანელო



მოსახლეობის ჯანმრთელობის განმაპირობებელ ფაქტორთა კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია გარემოს ფაქტორების მდგომარეობას. ჯანმრთელობის ფორმირებაში მის წილად მოდის 18-25%. ამ ფაქტიდან თვალნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული თვალსაზრისით, სათანადო მდგომარეობის უზრუნველყოფა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, რაც მრავალწახნაგოვანი, კომპლექსური საქმიანობის შედეგია და მოიცავს გარემოს მდგომარეობის მუდმივი კონტროლის ორგანიზაციას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან გარემოს მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, საერთაშორისო თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხების გადაჭრაში და ა.შ. აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციას ასრულებს პროფილაქტიკური მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება — გარემოს ჰიგიენა.

გარემოს გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანია სამედიცინო დახმარების როლი — ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საქმიანობის წილად მოდის ჯანმრთელობის განმაპირობებელ ფაქტორთა 7-12%.

გარემოს ჰიგიენის სფეროში სამედიცინო საქმიანობის წარმართვაში მნიშვნელოვანია მისი პირველადი რგოლის — პირველადი ჯანდაცვის ორგანოების და, კერძოდ, ექთნის როლი.

საექთნო საქმიანობა წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვან ქვესისტემას და აუცილებელი ელემენტია ჯანდაცვის ეროვნული სისტემების პოტენციალის გაძლიერებისათვის.

ექთანს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ერთ-ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი დანიშნულებაა ნებისმიერი ასაკის ინდივიდის, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პროფილაქტიკა ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით. ექთანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადობისა და სიკვდილობის მინიმიზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში.

გარემოს ჯანმრთელობისთვის უვნებელი მდგომარეობის უზრუნველყოფა რთული, მრავალსექტორული თანამშრომლობის ნაყოფია, რომელშიც მნიშვნელოვანია გარემოს ჰიგიენის სფეროს სპეციალისტთა წილი. პრობლემის გადაჭრისათვის კი აქტუალურია მათი განათლების და კვალიფიკაციის მაღალი დონე, რისთვისაც არსებითია სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სახელმძღვანელოთი უზრუნველყოფა.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემებს ეხმაურება სახელმძღვანელო — „გარემოს ჰიგიენა“ (რევაზ კვერენჩხილაძე, ნატო ხუნაშვილი, ლალი ბაქრაძე, გენადი კვერენჩხილაძე, ნუნუ ბიწაძე, თბილისი: 2018. – 154 გვ., 14 ცხრილი, 9 სურათი, 2 დანართი).

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების საექთნო საქმის ბაკალავრი-ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის. იგი სრულად შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს) და მოცემული დისციპლინის სასწავლო პროგრამას (სილაბუსს). სახელმძღვანელოში გადმოცემულია დისციპლინის ყველა ძირითადი საკითხი მოქმედი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. მათი ათვისება მომავალ ექთანს დაეხმარება სწორი ორიენტაცია მოახდინოს ადამიანის საარსებო გარემოს გაუმჯობესების (პროფილაქტიკის) საკითხებში.

წამოდგენილი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე შედგენილი გარემოს ჰიგიენის პირველი სახელმძღვანელოა, რომელიც განკუთვნილია საექთნო საქმის ბაკალავრი–ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.

სახელმძღვანელო შედგება 7 თავისაგან, სადაც თანმიმდევრულადაა განხილული გარემოს ჰიგიენის ის აქტუალური საკითხები, რომელთა შესწავლა ხელს შეუწყობს მომავალი ექთნის პროფესიული მომზადების პროცესის სრულყოფას.

სახელმძღვანელოში, დანართის სახით, წარმოდგენილია ტესტები განხილული საკითხების ათვისების ხარისხის კონტროლისთვის, აგრეთვე, საგნობრივი და სახელობითი საძიებელი, რაც აადვილებს სახელმძღვანელოს გამოყენებას.

სახელმძღვანელოს რედაქტორები: პროფესორი ირინე კვაჭაძე და ასოცირებული პროფესორი მარინა ციმაკურიძე.

თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ წიგნი დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელმძღვანელოდ.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com

იცნობდეთ და გახსოვდეთ

დასაწყისი გვ 7-დან

და საყვარელ ლექსებს, იცოდა კი ისინი უთვალავი რაოდენობის და თხზავდა თვითონაც - იგი იყო პოეტი; როდესაც ხატავდა, მართლაც პროფესიონალურად - იგი იყო მხატვარი, ამასთანავე, გიორგი დანელია ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას.

„ბატონი გიორგი იყო ახალი იდეების გენერატორი. თავისი ნოვატორული და ორიგინალური მიდგომებით პრობლემის შესწავლისას ყოველთვის ჩანდა მისი აშკარა უპირატესობა მრავალ გამოჩენილ მეცნიერთან შედარებით“- ასე დაახასიათა თავისი ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მარინა ფაილოძემ.

გიორგი დანელიამ ხანგრძლივი ცხოვრება გაიარა. სიცოცხლის ბოლომდე - თითქმის 64 წელი ხელმძღვანელობდა პათომორფოლოგიურ განყოფილებას აკად. კ. ჩაჩავას პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; გიორგი დანელიას სამეცნიერო აქტივობის ვექტორი ყოველთვის გადიოდა მის *Alma Mater*-ზე; იგი ბრძანდებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, შეუვალი ავტორიტეტის მქონე, ობიექტური და, ამავე დროს, კეთილმოსურნე ოპონენტი და ექსპერტი.

გიორგი დანელიამ დატოვა არა მარტო სამეცნიერო შრომები, მრავალი ნახატი, ლექსები, არამედ ჩანაწერები უამრავ წაკითხულ წიგნზე უაღრესად საინტერესო ნააზრევითურთ, რომელიც კითხვისას უჩნდებოდა, ასევე მრავალი სხარტი და ბრძნული გამონათქვამი თავისი პროფესიის შესახებ:

„პათოლოგიური ანატომია - ეს ასთვალიანი არგუსია, რომელიც აფიქსირებს პათოლოგიის ხასიათს და ავლენს ექიმის შეცდომას“.

„პათომორფოლოგია – ეს არის წმინდა ჭეშმარიტებასთან სოლიდარობა კლინიკის ინტერესებში კოლეგიალობის მაღალ პრინციპებზე (წინასწარ შექმნილი აზრის, შემრიგებლობისა და კონფრონტაციის გარეშე), იმის შეგნებით, რომ სიმართლეს უნდა შეხედო თვალებში და ექიმის შეცდომები, თუნდაც ძალიან საწყენი, არ დაიმალოს, არამედ გამოსწორდეს, უკუგდებულ იქნეს ანგარებიანი ინტერესები და პატივმოყვარე ამბიციები“.

„როგორც თვითმფრინავს სჭირდება ასაფრენი მოედანი, ასევე ახალი იდეისთვის საჭიროა მეცნიერების ზოგადი დონე, სხვაგვარად ეს იდეა არ დაიბადება, და მით უმეტეს, მისი გამოჩენის შემთხვევაში იგი ფეხს ვერ მოიკიდებს“.

„თუ ჩემი შრომები უმეტეს შემთხვევაში აღმოჩენები არ არის, ჩემი ღრმა რწმენით, ისინი ასე თუ ისე, რაღაცა ხარისხით აფხვიერებენ ნიადაგს და შეალამაზებენ მას შემდგომი ძიებებისთვის“.

„ბოლოს და ბოლოს – ადამიანი ცხოვრობს იმ საქმისთვის, რომელსაც ის ემსახურება და სიკეთისთვის გარშემო მყოფთათვის“.

გიორგი დანელიამ სწორედ ასე იცხოვრა. ამა წლის აპრილში შესანიშნავ მეცნიერსა და ნიჭიერ ადამიანს 95 წელი შეუსრულდებოდა.

მარინა მამაცაშვილი
(სტატია იბეჭდება შემოკლებით)